ტექნიკური ინფორმაცია N. 342

CapaDIN

ნაცადი ხარისხი!
მქრქალი საღებავი - შიდა სამუშაოებისთვის

მასალის აღწერა

გამოყენების სფეროები	გამოიყენება შიდა კედლების და ჭერის შესაღებად შენობებში. მოხმარებაში სიმარტივისა და დიდი ზედაპირების დაფარვის შესაძლებლობის გამო ხელსაყრელია მსხვილი ობიექტებისათვის.
თვისებები	■ ამცირებს ემისიას (გარქვევას), არ შეიცავს გამხსნელებს, სუსტი სუნის მქონე ■ წყალდისპერსიული და ეკოლოგიურად სუფთა ■ დიფუზიურობის უნარით ■ სიდიდე sd < 0,1 მ. ■ დასამუშავებლად მარტივი
საღებავის ბაზა	სინთეტური ნივთიერებების დისპერსია DIN 55945-ის მიხედვით
შეფუთვა	2,5 ლ. 5ლ. 10ლ. 15ლ.
ფერი	თეთრი შეფერადება შესაძლებელია დამოუკიდებლად CaparolColor Vollton- und Abtönfarben, ან Ava – Amphibolin Vollton und Abtönfarben-ის კოლერებით. რეკომენდირებულია საღებავის მთლიანი მასის კარგად შერევა, რათა თავიდან ავიცილოთ განსხვავება ტონში. ერთი ტონალობის 100 ლ. -ზე მეტი რაოდენობის პროდუქტის მოთხოვნის შემთხვევაში, შეფერადება შესაძლებელია ქარხნული წესით.
სიპრიალის ხარისხი	ღრმად მქრქალი (DIN EN 13 300-ის მიხედვით)
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ, ყინვისგან დაცულ ადგილას. შენახვის მინიმალური ვადა გაუხსნელ ორიგინალ შეფუთვაში 24 თვე.
ტექნიკური პარამეტრები	მახასიათებლები DIN EN 13 300-ის მიხედვით: ■ სველი მოხეხვის მე -3 კლასი, მორეცხვისადმი მედეგი DIN 53778-ის მიხედვით ■ კონტრასტი: დაფარვის მე 2 კლასი , მაჩვენებელი: 6 კვ / მ და 160 მლ / მ 2 ■ მაქსიმალური ნაწილაკების ზომა: 100 მიკრონი ■ სიმკვრივე: დაახლოებით 1.6 გ / სმ 3

CAPAROL

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ზედაპირი უნდა იყოს მშრალი,სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან.

ზედაპირის მომზადება

PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები:
მყარი, კარგად შემწოვი ბათქაშები შეღებეთ წინასწარი დამუშავების გარეშე. ფოროვანი, შემწოვი და ქვიშანაყარი ბათქაშები დაგრუნტეთ OptiSilan TiefGrund-ით ან RapidGrund-ით.

PIV ჯგუფის ცემენტის ხსნარების თაბაშირი და მზა ბათქაშები:
დაიგრუნტოს Caparol–Haftgrund-ით. თაბაშირის ბათქაშები არათანაბარი ზედაპირით გაშლიფეთ, გაწმინდეთ მტვრისგან და დაგრუნტეთ Caparol–Tiefgrund TB-ით.

სამშენებლო თაბაშირის ფილები:
შემწოვი ზედაპირის მქონე ფილები დაგრუნტეთ OptiSilan TiefGrund-ით ან Caparol Tiefgrund TB-ით. გლუვი, მკვრივი ზედაპირების დასაგრუნტად გამოიყენეთ ადჰეზიის გამაძლიერებელი Caparol Haftgrund-ი.

მუყაო-თაბაშირის ფილები:
შერჩენილი ფითხი გაშლიფეთ.
რბილი და გაშლიფული ადგილები გაამყარეთ Caparol Tiefgrund TB-ით. დაგრუნტეთ Caparol Haftgrund-ით ან OptiSilan TiefGrund-ით. ფილები, რომლებიც შეიცავს წყალში ხსნად, შემაფერადებელ ნივთიერებებს, დაგრუნტეთ AquaSperrgrund-ით.

ბეტონი:
მოაცილეთ ცარცვადი, ქვიშიანი ნაწილები.

ფოროვანი ბეტონი:
დაგრუნტეთ Capaplex 1:3 წილ წყალთან.

აგურის სილიკატური აგურის წყობა:
შეღებეთ წინასწარი მომზადების გარეშე.

მზიდი დანაფარები:
მქრქალი, სუსტად შემწოვი ზედაპირები შეღებეთ დაუმუშავებლად. პრიალა და ლაქით დაფარული ზედაპირები გაშლიფეთ და დაფარეთ Caparol Haftgrund-ით.

არამზიდი დანაფარები:
ხელოვნური ფისის, ლაქის, დისპერსიული საღებავების დანაფარები მთლიანად მოაშორეთ. სუსტად შემწოვი, გლუვი ზედაპირები დაგრუნტეთ Caparol Haftgrund-ით. უხეშად ფოროვანი, ცარცვადი, შემწოვი ზედაპირები დაგრუნტეთ OptiSilan TiefGrund -ით. მინერალური საღებავების გამოუსადეგარი დანაფარები მექანიკურად მოაცილეთ და გაწმინდეთ მტვრისგან. დაგრუნტეთ Caparol –Tiefgrund TB-ით.

დანაფარები წებოვანი საღებავით:
საფუძვლიანად ჩამორეცხეთ. დაგრუნტეთ Tiefgrund TB-თი.

რელიეფური, ბოჭკოვანი, ტვიფრული ქაღალდის შეუღებავი შპალერი:
შეღებეთ წინასწარი მომზადების გარეშე.

არამყარად მიმაგრებული შპალერი:
მთლიანად მოაცილეთ. წებოს და ქაღალდის ნარჩენები მოაშორეთ. დაგრუნტეთ Tiefgrund TB-თი.

ობმოდებული და სოკოთი დაზიანებული ზედაპირები:
დაბინძურებული ადგილები გაწმინდეთ წყლით. ჩამორეცხეთ Capatox -ით ან FungiGrund-ით, კარგად გააშრეთ. შემდგომ დაფარეთ ზედაპირის შესაბამისი გრუნტით. ძლიერ დაზიანებულ ზედაპირებზე დამასრულებელ ფენად წაუსვით Indeko-W, Malerit-W, ან Fungitex-W.

ნიკოტინის, წყლის, ჭვარტლის და ცხიმიანი ლაქებით დაბინძურებული ზედაპირები:
ჩამორეცხეთ ცხიმის მოსაშორებელი საშუალებით (მაგალითად: ჭურჭლის სარეცხი საშუალება), შემდგომ კარგად გააშრეთ. გამშრალ ზედაპირზე შემორჩენილი წყლის ლაქები გახეხეთ და გაწმინდეთ. პირველი ფენა წაუსვით Caparol AquaSperrgrund. ძლიერად დაბინძურებულ ადგილებზე დამასრულებელ ფენად გამოიყენეთ Caparol Aqua-inn N°1

ხის ზედაპირები:
წაუსვით წყალდისპერსიული, ეკოლოურად უსაფრთხო Capacryl Acryl-ის, ან Capacryl PU-ის ლაქები.

მცირე დეფექტები:
გამოასწორეთ Caparol-Akkordspachtel-ით და შემდგომ დაგრუნტეთ.

დატანის მეთოდები

შესაძლებელია დატანილ იქნას ფუნჯით, სამღებრო გორგოლაჭით და საჰაერო, ან უჰაერო (Airless) მიფრქვევით.

უჰაერო მიფრქვევა (Airless):
მიფრქვევის კუთხე: 50°
ნახვრეტის სისქე: 0,023–0,026”
წნევა მიფრქვევისას: 150–180 bar
სამუშაოს დასრულებისას ხელსაწყოები გაწმინდეთ წყლით.

დაფარვის სტრუქტურა

დაიტანეთ სქლად, წყლის მაქსიმუმ 5%-იანი გაზავებით.
სხვადასხვა შეწოვის უნარის მქონე და კონტრასტულ ზედაპირებზე დაიტანეთ მაქსიმუმ 10%-მდე წყლით გაზავებული საგრუნტავი ფენა.

ხარჯი

ერთ ფენაზე დაახლოებით 150 მლ/მ^2 გლუვი ზედაპირებისათვის, დაუმუშავებელ უსწორმასწორო ზედაპირებზე ხარჯი შესაბამისად მატულობს.

გამოყენების პირობები

მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:
ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა არა ნაკლებ +5 C-სა.

შრობის დრო

20 C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 4-6 საათში. სრულად ზედაპირი მშრალია და მზადაა დატვირთვებისთვის 3 დღეში. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

მინიშნება

ზედაპირის თანაბარი დაფარვის მისაღწევად პროდუქტი დატანილ უნდა იქნას ერთი მოსმით, „სველი-სველზე“ მეთოდით.უჰაერო (Airless) მიფრქვევით დატანისას საღებავი ამოურიეთ საფუძვლიანად. ცუდი მინათების მქონე ზედაპირებზე გირჩევთ CapaSilan-ის გამოყენებას. Caparol-Tiefgrund TB-ის გამოყენებისას შიდა სამუშაოების შესრულების დროს შეიძლება წარმოიქმნას გამხსნელის სუნი, ამიტომ იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე.

მითითებები

ყურადღება

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. მუშაობის პროცესში იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე. კანზე, ან თვალებში მოხვედრის შემთხვევაში კარგად დაიბანეთ წყლით. ნუ დაუშვებთ პროდუქტის კანალიზაციაში, გამდინარე წყლებში და ნიადაგში მოხვედრას. ხელსაწყოები გაწმინდეთ წყლით და საპნით. საფრქვევით შეღებვის შემთხვევაში არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი „ღრუბელი“.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას, როგორც წყალდისპერისული საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საღებავი ან სამშენებლო ნაგავი.

VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/a): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 1 გ/ლ აქროლადი ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

პროდუქტის კოდი საღებავები და ემალები

M-DF01

შემადგენლობა

აკრილის თანაპოლიმერების დისპერსია, ტიტანის დიოქსიდი, სილიკატები, კალციუმის კორბონატი, წყალი, მიზნობრივი ადიტივები, კონსერვანტები.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო,
ელ-ფოსტა: office@caparol.ge
www.caparol.ge